საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/55

ქ.ბათუმი

31 მაისი, 2018 წ.

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის (მე-6 ნაკადი) გაზაფხულის სემესტრის (I სემესტრის) სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული უცხოელებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის N9 დადგენილების, აკადემიური საბჭოს 03.04.2018 წლის N43 დადგენილების, ,,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასისტენტ-პროფესორ სოფიკო ცქვიტინიძის სამსახურებრივი ბარათის (N646160, 31.05.2018) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მაისში ჩარიცხული სტუდენტებისათვის (მე-6 ნაკადი), პირველი სემესტრის (გაზაფხულის სემესტრის) სასწავლო პროცესის სხვა ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

   ა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის N43 დადგენილების თანახმად 2018 წლის მაისიდან დაწყებული სააუდიტორიო მეცადინეობები დასრულდეს 2018 წლის 21 ივლისს;

   ბ) ძირითადი საგამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 23 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით;

გ) დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 6 აგვისტოდან 11 აგვისტოს ჩათვლით.

2. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სტუდენტებისათვის მისი საჯარო გამოცხადების გზით.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**